1 იანვარი

ოთხშაბათი
2025

ყოვლადწმიდა
დედა ღმრთისა დდ, [ს], თ

(19.XII) წმმ. ღირსი გიორგი მწერალი და ძმა მისი საბა ხახულელნი

რიცხ 6,22-27; ფს 66; გალ 4,4-7; ლკ 2,16-21

მშვიდობისათვის ლოცვის მსოფლიო დღე

მწყემსებმა ნახეს მარიამი და იოსები, და ბაგაში მწოლარე ყრმა ლკ 2,16

მწყემსებმა შეისმინეს ღმრთის დიდებაში წარმდგარი ანგელოზების ხმა და იესოსკენ გაეშურნენ, მასთან ერთად მარიამსა და იოსებსაც ხვდებიან. იესო – ჩვენს გვერდით მყოფი ღმერთი – გვაზიარებს თავის ცხოვრებას, ადამიანურ და ღვთიურ ურთიერთობებს. ხოლო მარიამი, იოსებთან ერთად შეგვაცნობს თავიანთ წმინდა სიყვარულის მშვენიერებას. დალოცვილია ამ ახალი წლის ყოველი დღე!

2 იანვარი

ხუთშაბათი
2025

შობის ჟამი [ს], თ

წმ. ბასილ დიდი, მცირე აზიაში კესარიის ეპისკოპოსი +379 და წმ. გრიგოლ ნაზიანზელი, კონსტანტინეპოლის ეპისკოპოსი, +390, ეკლესიის მოძღვარნი (მ)

1იო2,22-28; ფს 97; იო 1,19-28

მე მის სანდლებზე თასმის შეხსნის ღირსიც არა ვარ

იო 1,27

იოანე ნათლისმცემელი პასუხს სცემს იუდეველთაგან გამოსაცდელად მიგზავნილ ხალხს. ლევირატის კანონს გაახსენებს მათ და აცხადებს, რომ არანაირი უფლება არ აქვს „პატარძალზე“ ანუ ღმერთის ერზე. იოანე ოდენ ხმაა, რომელიც გზას უმზადებს მომავალ უფალს. იესო, შენ ხარ მესია, ნეფე, ვინც გვიხსნის რჯულის მონობისგან და ღმერთის სიყვარულს შეგვაცნობს.

3 იანვარი

შობის ჟამი [ს] თ

პარასკევი

2025

იესოს უწმიდესი სახელი
(21.XII) წმ. მაკარი მმარხველი, ხახულის აბატი

1იო 2,29–3,6; ფს 97; იო 1,29-34

ის არის სულიწმიდით ნათლისმცემელი

იო 1,33

მას მერე, რაც მამისაგან გონგანათებულმა იოანე ნათლისმცემელმა იხილა იორდანეში იესოზე მტრედის ფორმით გარდმოსული სულიწმიდა, ურყევად აცხადებს, რომ იესოა ის, ვინც გვნათლავს, ვინც სულიწმიდაში შთაგვფლავს და ეს მაშინ ხდება, როდესაც ვიღებთ მის სიტყვას და მის ძმებს.

4 იანვარი

შაბათი

2025

შობის ჟამი [ს], თ

1იო 3,7-10; ფს 97; იო 1,35-42

რაბი, სად დგახარ? იო 1,38

ამ კითხვით მიმართავს იესოს იოანე ნათ-
ლისმცემლის ორი მოწაფე. ის კი მიუგებს:
“წამოდით და ნახეთ”. და იხილავენ არა
ადგილს, არამედ ადამიანებს, რომლებიც
ერთად ცხოვრობენ ძმურად, მისი სახელით.
ეს ის სავანეა, სადაც ღმერთს ვეზიარებით; ეს
ძმობაა, სადაც ერთურთს ვემსახურებით და
სადაც ყველაფერი საერთოა: აქ გამოვცდით
ზეციერი მამის სიყვარულს.

5 იანვარი

კვირა

2025

II კვირადღე შობის შემდეგ, «გ», [II], თ

ზირ 24,1-4,8-12; ფს 147; ეფეს 1,3-6.15-18; იო 1,1-18

სიტყვა იყო ღმერთთან იო 1,1

შობის დღეს მივიღეთ იგი – სიტყვა, გული, ძე მამისა, თვით ღმერთი. მისი ცხოვრება სამარადისოდ „თანა მყოფია“ მამასთან, მას ეშურება, მხოლოდ მისი ნების აღსრულებას ლამობს, რათა ჩაიძიროს მასში, განაცხადოს და აუწყოს იგი ყოველ კაცს. გმადლობ, ზეციერო მამავ! გმადლობ, იესო!

6 იანვარი

ორშაბათი
2025

უფლის გაცხადება, დდ, [ს], თ

ეს 60,1-6; ფს 71; ეფეს 3,2-3ა.5-6; მთ 2,1-12

მეუფე ჯუზეპე პაზოტოს ეპისკოპოსად კურთხევის
25 წლის იუბილე

საღ არის იუდეველთა მეფე, რომელიცა იშვა? მთ 2,2

ეს კითხვა მოგვებმა, აღმოსავლელმა ბრძენ-
კაცებმა დასვეს. მათ უწყოდნენ შობაზე;
„იხილეს მისი ამომავალი ვარსკვლავი“,
რამაც ისინი იერუსალიმში მიიყვანა და ჰე-
როდე, მთელ ხალხთან ერთად, გააოცა და
შეაშფოთა. თუმცა, მიქეა წინასწარმეტყველი
ადასტურებდა წარმართების ნათქვამს: „შენ
კი, ბეთლემ... შენგან გამოვა წინამძღოლი,
რომელიც დამწყემსავს ჩემს ხალხს“.
გმადლობ, იესო, ამ წუთისოფელში ყო-
ფისთვის: ჩვენ ძალგვიძს შენი თაყვანისცემა!

7 იანვარი

შობის ჟამი [ს], თ

სამშაბათი

2025

წმ. რაიმუნდე პენიაფორტელი, ხუცესი, დომენიკელი, +1275 ბარსელონაში

1იო 3,22 - 4,6; ფს 2; მთ 4,12-17.23-25

შობა საქართველოს მართლმადიდებელ ეკლესიაში

მიმოდიოდა იესო მთელ გალილეაში მთ 4,23

იესო თავის მისიას იწყებს და იოანე ნათ-ლისმცემლისგან სწავლობს. იგი ამ სიტყვებს იმეორებს: „მოექეცით, მოახლოვდა ცათა სასუფეველი“: დადგა ჟამი. ამას განკურნე-ბისა და გამოხსნის სასწაულებით აჩვენებს. ის ღმერთის მიერ მოვლენილი ჭეშმარიტი და ახალი მეფეა. საუკუნეების მანძილზე ეკლესია აცხადებს ამ სასიხარულო უწყებას, რომელიც აღმდგარი იესოს ჩვენთან და ჩვე-ნთვის ყოფნითაა დამტკიცებული.

8 იანვარი

ოთხშაბათი
2025

შობის ჟამი [ს], თ

1იო 4,7-10; ფს 71; მარ 6,34-44

რამდენი პური გაქვთ? მარ 6,38

მოწაფეებს გასაჭირი უდგათ: იმ ხუთ ათას კაცს, იესოს რომ უსმენს, მოშივდათ. მოწაფეები იესოსთან მიდიან და გამოსავალს სთავაზობენ. ხოლო იესო, როგორც კეთილი მწყემსი, სულ სხვა გამოსავალს ხედავს: ისინი დიდსულოვნად გაიღებენ იმ მცირედს, რაც აბადიათ, დანარჩენს კი უხვად უწყალობებს მამის სიყვარული.

9 იანვარი

ხუთშაბათი

2025

შობის ჟამი [ს], თ

(27. XII) ღ. სტეფანე ხირსელი,
13 ასურელ მამათაგანი (VIს)

1იო 4,11-18; ფს 71; მარ 6,45-52

გამხნევდით, მე ვარ მარ 6,50

ეგონათ, რომ ღამით ტბაზე მოსიარულე
კაცი მოჩვენება იყო, მაშინ როცა ქარი ბო-
ბოქრობდა და მათი ნავი წყლით ივსებოდა.
და აჰა, გაისმა ხმა: „გამხნევდით, მე ვარ“!
იესო, უიმედობის წუთებში შენ მუდამ ლამობ
ჩემს შეწევნას, ხსნას და დაცვას. ვგრძნობ
შენს სიყვარულს, მადლობა.

10 იანვარი

პარასკევი
2025

შობის ჟამი [ს], თ

1იო 4,19 - 5,4; ფს 71; ლკ 4,14-22

უფლის სულია ჩემზე ლკ 4,18

უდაბნოდან წამოსული იესო თავის
მისიას შეუდგება. ნაზარეთის სინაგოგაში,
სადაც ერთობლივად ლოცულობდნენ,
ებოძა სიტყვა, რომელიც გაუძღვებოდა
და ჯვარზე სიკვდილამდე გააძლიერებდა.
წმინდა წერილით იწინასწარმეტყველა
მამის სიყვარულმა ყოველი მონათლულის
სიცოცხლე და მისია: ვატაროთ და
განვავრცოთ უფლის სულიწმიდა!

11 იანვარი

შაბათი

2025

შობის ჟამი [ს], თ

1იო 5,5-13,4; ფს 147; ლკ 5,12-16

იესო ღვთის ძეა 1იო 5,5

მას, ვინ ირწმუნა იესო – ღვთის ძე, საკუთარ ცხოვრებაში პირველ ადგილზე აყენებს მას და ახალი ცხოვრებით ცხოვრობს, თავისუ-ფალი ლიქვნისა და სიყალბისგან, რასაც წუთისოფელი გვთავაზობს: სიამოვნების, კომფორტის, მჩაგვრელი ეგოიზმისგან... ამი-ტომაც, ვერ გაუგებენ მას და სდევნიან. სულო წმიდაო, განამტკიცე ჩვენი რწმენა, რათა ირწმუნოს წუთისოფელმა!

12 იანვარი

კვირა

2025

უფლის ნათლისღება «გ», დ, [ს], თ

ეს 40,1-5.9-11; ფს 103; ტიტ 2,11-14; 3,4-7; ლკ 3,15-16.21-22

როდესაც იესო ლოდესულობდა, გაიხსნა ცა ლკ 3,21

იესო იოანე ნათლისმცემელთან მივიდა ნათ-
ლობის მისაღებად. ცხადია, მას არ სჭირდე-
ბოდა ცოდვათაგან განწმენდა, მაგრამ ცოდ-
ვილებთან ყოფნით დაიწყო მისი დამცირების
გზა, რომელიც ჯვარზე აღსრულდა. ამგვარ
თავმდაბლობას უხმოდ ვერ შეხვდებოდა მამა:
მას თავის საყვარელ ძედ აცხადებს. მასში
და მასზე გაიხსნა ცა: აწ, სულიწმიდის მიერ
ურთიერთობს ადამიანი ღმერთთან.

13 იანვარი

ორშაბათი

2025

რიგითი I კვირა [I], მწ – კენტი წელიწადი

წმ. ილარიონი, პუატიეს ეპისკოპოსი, ეკლესიის მოძღვარი +367;
(31.XII) წმ. ღირსი დედა საბაია, აბადესა (XI)

ებრ 1,1-6; ფს 96; მარ 1,14-20

იეზუიტი მ. ჰარვეი ლორიერ კროსბის გახსენება (+2016)

ახლოა ღვთის სასუფეველი

მარ 1,15

იესო ჩვენთან და ჩვენთვის მყოფ მამას აუწყებს ადამიანებს: თავად არის სიყვარულის გამოვლინება, ჩვენი მხსნელი და მაცოცხლებელი! იგი მოგვიხმობს მეც და შენც, რათა მეგზურობა გავუწიოთ თავის მისიაში. გმადლობ იესო, რამეთუ შენთან მოზიარეობის მადლს გვანიჭებ.

14 იანვარი

სამშაბათი
2025

რიგითი I კვირა [I], მწ

ებრ 2,5-12; ფს 8; მარ 1,21-28

დიდებითა და პატივით დაიკვირეკვინე ებრ 2,7

დიდების და პატივის გვირგვინი ადგას ადა-
მიანს: მე, შენ და ყოველ კაცს, ვინც ღმერ-
თმა თავის ხატად შექმნა და თავის დიდებას
აზიარა. სიკვდილის დამთრგუნველ იესოსთან
ერთად მივაღწევთ ღმრთაებრივი ცხოვრების
სისრულეს. ამ გზაზე გავიხსენებთ და პატივს
მივაგებთ ღმერთისთვის ძვირფასი ყოველი
კაცის ღირსებას.

15 იანვარი

ოთხშაბათი

2025

ებრ 2,14-18; ფს 104; მარ 1,29-39

იესო აბრაამის მოდგმას ეხებულობს ებრ 2,16

იესო შეეწევა თავის ხალხს, ანუ ყოველ კაცს, ვინც ცოდვითა და სიკვდილის შიშით იტანჯება და ვინც სასოებით და მდაბალი გულით მიმართავს მას. იმ ტანჯულების მსგავსად, ვისზეც დღევანდელი სახარება მოგვითხრობს, მეც მტკიცედ ვეშურები იესოსკენ: მის მიერ განკურნებული შევძლებ მეც მწედ მოვევლინო მისსა და ჩემს მოყვასებს.

16 იანვარი

ხუთშაბათი

2025

რიგითი I კვირა [I], მწ

ებრ 3,7-14; ფს 94; მარ 1,40-45

მსურს, განიწმიდე! მარ 1,41

კეთროვანს სწამდა, რომ თუკი იესო ინებებდა, მას განწმენდდა. ცხადია, ეს ნებავს იესოს, რამეთუ ვუყვარვართ. ნებავს ჩვენი ცოდვისგან განწმენდა, რამეთუ ამისთვის დაღვარა თავისი სისხლი. იესოს ნებავს ჩემი ცხოვრების აურზაურშიც შემოვიდეს, რათა მომიტევოს, განმკურნოს და განმაახლოს. მინდა, რომ ამის ნება დავრთო მას.

17 იანვარი

რიგითი I კვირა [I]

პარასკევი
2025

წმ. ანტონ დიდი, აბატი, განდეგილი ეგვიპტეში
+356 (მ), თ

(4.I) წმ. ღირსნი ევაგრე მღვიმელი,
ილია დიაკონი და სხვანი, მონაზონნი, VIს

ებრ 4,1-5.11; ფს 77; მარ 2,1-12

შვილო, მოგიტევა შენი ცოდვები

მარ 2,5

იესო, შენთან დავრდომილი მოჰყავთ და სიბრალულით ივსება შენი გული... ფეხზეც წამოაყენებ, თუმცა ეს მეორეხარისხოვანია, ის მხოლოდ ნიშანია სხვების რწმენისთვის. ჭეშმარიტად რომ შეიგრძნოს სიცოცხლის მადლი, შენ მას ცოდვებს მიუტევებ. მადლობა, იესო!

18 იანვარი

შაბათი

2025

ებრ 4,12-16; ფს 18; მარ 2,13-17

ქრისტიანთა ერთობისათვის
ლოცვის რვადღეულის დასაწყისი

მოიქეცი

მარ 2,14

შენს კვალში სვლა, დაუყოვნებლივ და დიდსულოვნად, – როგორ ლევი მოიქცა –, ერთადერთი გზაა ქრისტიანთა ერთობისაკენ, რომლებიც კვლავაც გაყოფილნი არიან ჩვენს ცოდვათა გამო, ადამიანური ქედმაღლობისა და ამპარტავნების მიზეზით. მეც მსურს გამოგყვე, რწმენით მივიღო და შევისმინო ყოველი შენი სიტყვა. ასე განდიდდება ჩვენი ზეციერი მამა!

19 იანვარი

კვირა

2025

რიგითი II კვირადღე, «გ», [II], მწ

ეს 62,1-5; ფს 95; 1კორ 12,4-11; იო 2,1-12

ქრისტიანთა ერთობისათვის ლოცვის რვადღეული
ნათლისღება საქართველოს მართლ. ეკლესიაში

ეააკეთეთ ყველაფერი, რასაც ის ეუბნებით იო 2,5

იესოსთან ერთად, კანას ქორწილში მყოფი მარიამი, ანიშნებს მას, რომ ხალხს შემოაკლდა ღვინო, ანუ ხალისი. იესო შეისმენს მის ნათქვამს და მარიამისაგან დარიგებული მსახურებიც, თავმდაბლად ასრულებენ იესოს მითითებას! რამხელა ერთობაა! როდესაც იესოსა და და-ძმებს შორის ურთიერთნდობა სუფევს, ეკლესიაში ერთად ყოფნის სიხარულის სასწაულს ვხედავთ, რითაც გადაილახება განსხვავებულობა.

20 იანვარი

ორშაბათი

2025

წმ. ფაბიანე, პაპი და წამებული რომში +250
წმ. სებასტიანე, წამებული რომში +304

ებრ 5,1-10; ფს 109; მარ 2,18-22

ქრისტიანთა ერთობისათვის ლოცვის რვადღეული

რემი ძე სარ შენ, მე დღეს გშობე შენ ებრ 5,5

მამა ყოველ მონათლულს „ძედ“ მიიჩნევს. ცხადია, არა გაუცნობიერებლად, არამედ როცა ხედავს, რომ მისი ძის – იესოს ცხოვრებით ცხოვრობს, რაც დიდსულოვან სიყვარულში აისახება. მოდი, სულო წმიდაო! შენთან ერთად ვიქნებით ერთნი ეკლესიაში, სრულიად ბუნებრივად, ძალდაუტანებლად.

21 იანვარი

რიგითი ჟამის II კვირა [II]

სამშაბათი

2025

(8.I) წმ. აბო თბილელი, წამებული +786 (მ), წ
წმ. აგნესა ქალწ. წამებული რომში, +304 (მ), წ

ებრ 6,10-20; ფს 110; მარ 2,23-28

ქრისტიანთა ერთობისათვის ლოცვის რვადღეული

იესო გახდა მღვდელმთავარი ებრ 6,20

მამისადმი მიძღვნილი სიცოცხლით გახდა იესო მღვდელმთავარი, იგი დღენიადაგ ევედრება მამას ჩვენს გამო. გამოსყიდვის იუბილეზე, რასაც წელს ვზეიმობთ, უნდა გვახსოვდეს, რომ ყოველი მონათლული ანუ ქრისტეს სხეულის თითოეული წევრი, „მღვდელია“: მოყვასთათვის მიძღვნილი. ამ დღეებში, მთელი ეკლესიის ლოცვა და ძღვენი, მორწმუნეთა ერთიანობას ითხოვს იესოში, რათა ირწმუნოს წუთისოფელმა.

22 იანვარი

ოთხშაბათი

2025

რიგითი ჟამის II კვირა [II] მწ

წმ. ბიკენტი, მოწამე დიაკვანი,
+303 ვალენსიაში (ესპანეთი)

ებრ 7,1-3.15-17; ფს 109; მარ 3,1-6

ქრისტიანთა ერთობისათვის ლოცვის რვადღეული

ადექ, შუაში ექმო-დი

მარ 3,3

იესო "შუაში" იხმობს დავრდომილს: ეს დღე შაბათია, ღმრთისაგან ნასურვები დასვენების დღე. იესო ცდილობს რჯულის ახსნას, რომ შაბათიც ისევე მოდის მამისაგან, როგორც სიყვარულის ძღვენი ტანჯულ შვილთათვის. ისინი ვერ იგებენ: ვერ აღწევს მათ გულებში მისი ნათელი. ნათელი, რომელიც იესოში გვიღვივებს ნდობას, განსხვავებული რწმენის ადამიანებთან ურთიერთობაში შეგვეწევა.

23 იანვარი

ხუთშაბათი

2025

რიგითი ჟამის II კვირა [II] მწ

ყოვლადწმიდა მარიამისა და წმ. იოსების ქორწინება

ებრ 7,25 - 8,6; ფს 39; მარ 3,7-12

ქრისტიანთა ერთობისათვის ლოცვის რვადღეული

იესო მკაცრად უბრძანებდა მათ, რათა არ გაემჟღავნებინათ იგი მარ 3,12

დემონებმა ძალზე კარგად იცოდნენ, თუ ვინ იყო იესო, თავად იესოს არ სურდა მათგან აღიარება... მხოლოდ მას, ვისაც იგი უყვარს, მხოლოდ მას ვინც მისი სიყვარულის გამო ზრუნავს თავის ძმაზე, ძალუძს ჭეშმარიტი და სანდო მოწმეობა.

24 იანვარი

პარასკევი

2025

რიგითი ჟამის II კვირა [II]

წმ. ფრანცისკე დე სალი, ჟენევის ეპისკოპოსი, ეკლესიის მოძღვარი, +1622 ლიონში, (მ), თ

ებრ 8,6-13; ფს 84; მარ 3,13-19

ქრისტიანთა ერთობისათვის ლოცვის რვადღეული

იესო მთაზე ავიდა მარ 3,13

იესომ მთელი ღამე ლოცვაში გაატარა, მან თავისთან იხმო მოწაფეები და მათგან თორმეტი ამოარჩია, რათა მის გვერდით ყოფილიყვნენ და მისი სამეფოს თანაშემწენი გამხდარიყვნენ. იესოს მსგავსად გამოვყოთ ჩვენც დრო ლოცვისთვის, რათა ვუსმინოთ მამას, შევიცნოთ და შევასრულოთ მისი ნება. მამის მოსმენა და მისი გაგონება უფრო მეტად გაგვაერთიანებს.

25 იანვარი

შაბათი

2025

წმ. პავლე მოციქულის მოქცევა, დ, [ს], თ

საქმ 22,3-16 ან, საქმ 9,1-22; ფს 116; მარ 16,15-18

ქრისტიანთა ერთობისათვის
ლოცვის რვადღეულის დასასრული
არალში შუასერის (მეშურნეთის) ეკლესიის დღესასწაული

მე ვარ იესო ნაზარეველი საქმ 22,8

დღეს ეკლესია წმინდა პავლეს მოწიწებისა-კენ გვიხმობს: ვეცნობით მის ცხოვრებასა და მოღვაწეობას. პავლე დამასკოს გზაზე შეხვდა მკვდრეთით აღმდგარ იესოს, სწორედ მაშინ, როცა მას დევნიდა! გმადლობთ, მოციქულო პავლე: იმ წუთიდან მთელი შენი ცხოვრება იესოს უძღვენი. ჩვენთვის მაგალითია შენი ახალი ცხოვრება.

26 იანვარი

კვირა

2025

რიგითი III კვირადღე, «გ», [III], მწ

ღვთის სიტყვის კვირადღე

[წმ. ტიმოთე და წმ. ტიტე, ეპისკოპოსნი, წმ. პავლეს თანამოღვაწენი, I ს. (მ), [ს], თ]

ნეემ 8,2-4. 5-6. 8-10; ფს 18; 1კორ 12,12-30; ლკ 1,1-4; 4,14-21

სული უფლისა ჩემზეა ლკ 4,18

სულიწმიდით აღვსილი იესო მასზე დაწერილ ესაიას სიტყვებს კითხულობს სინაგოგაში შეკრებილი ხალხის წინაშე და თავის მისიას უმხელს – კაცთა მაცხოვარი და გამომხ-სნელი. გმადლობთ, იესო: შენ უფალი ხარ ჩემი, მსურს შეგიყვარო და ყოველდღე გამო-გყვე სიტყვის მოსმენითა და ხორცშესხმით.

27 იანვარი

ორშაბათი

2025

(14.I) წმ. ნინო მოციქულთა სწორი,
ქართველთა განმანათლებელი, დდ, [ს], თ

წმ. ანჯელა მერიჩი, ქალწული
+1540 ბრეშაში (იტალია)

დაბ 12,1-7; ფს 95; 1კორ 1,26-31; მარ 16,15-20

საქართველოს კათოლიკე ეკლესიის მფარველი
წმიდა ნინოს დების კონგრეგაციის მფარველი

„უფალი განამტკიცებდა სიტყვას მათი თანმხლები სასწაულებით" მარ 16,20

ჰე, იესო, მსურს შენ გისმინო; მსურს ვისმინო
და დავიცვა, შევინახო შენი სიტყვა. შენ დღე-
საც თესავ მას ჩემში: წმიდა წირვაზე შენთან
შეხვედრისას, ლოცვის დროს, დღეს რომ
დაგითმობ, სახარების კითხვისას, ანდა როცა
შენს რომელიმე ნათქვამს გამახსენებ. იესო,
მსურს შენ გისმინო: შენი სიტყვის თესლი ნა-
ყოფს გამოიღებს! ღვთის სიტყვის მოციქულო
ნინო, ილოცე ჩვენთვის!

28 იანვარი

რიგითი ჟამის III კვირა [III]

სამშაბათი
2025

წმ. თომა აკვინელი, ხუცესი, დომინიკელი, ეკლესიის მოძღვარი, +1274(მ), თ;
(15.I) წმ. სალომე უჯარმელი და წმ. პეროჟავრა სივნიელი, IVს. / წმ. არჩილ მეფე, წამებული, +774

ებრ 10,1-10; ფს 39; მარ 3,31-35

აჰა, მოვდივარ შენი ნების აღსასრულებლად ებრ 10, 9

ეს ფსალმუნის სიტყვებია, რითაც იესო მამას მიმართავს წუთისოფელში მოსვლისას. იგი მამის ნებას აღასრულებს და ხორცს შეასხამს წმინდა წერილს საკუთარი თავის სრულებით მიძღვნით. თავისი სისხლით განბანა და წარხოცა ჩვენი ცოდვები. ტაძრად შეწირული ხარების და თხების სისხლი იმაზე მიანიშნებდა, რასაც მოგვიანებით თავად იესო შესწირავდა. გმადლობთ, იესო: შენი სიკვდილის საიდუმლოს მიერ ვიღებთ შენდობას და შევდივართ შენს თანაზიარებაში მამასთან.

29 იანვარი

ოთხშაბათი

2025

ებრ 10,11-18; ფს 109; მარ 4,1-20

ღმის პირას, ... როეორც კი მოისმენენ,
მაშინვე მოდის საატანა მარ 4,15

მთესველის იგავით იესო მოგვიწოდებს, მოვუსმინოთ ღვთის სიტყვას – ძვირფას თესლს, ერთგულად დავიცვათ, რათა ჩვენმა მტერმა – ეშმაკმა, ჩვენს გონებას და გულს არ გამოსტაცოს ის. მარიამ, სიტყვის გულის სიღრმეში განაზრების დიდოსტატო, შეგვეწიე, რათა კეთილი ნაყოფი გამოვიღოთ იესოს მოსმენით, გაგონებითა და დაყოლით.

30 იანვარი

ხუთშაბათი

2025

რიგითი ჟამის III კვირა [III], მწ

ებრ 10,19-25; ფს 23; მარ 4,21-25

ვისაც აქვს, მიეცემა მარ 4,25

როდესაც ვასრულებ იესოს სიტყვას,
თავისუფალი, ბედნიერი და მშვიდი ვარ.
მისი ყოფნა საშუალებას მაძლევს მივიღო
ახალი სინათლე და ახალი სიყვარული,
რომელსაც გავცემ.

31 იანვარი

პარასკევი

2025

რიგითი ჟამის III კვირა [III]

წმ. იოანე ბოსკო, ხუცესი, +1888 ტურინში,
სალელთა კონგრეგაციის დამაარსებელი (მ) თ
(18.I) წმ. ღირსი ეფრემ მცირე, +1101

ებრ 10,32-39; ფს 36; მარ 4,26-34

სალელთა კონგრეგაციების დღესასწაული

ნუ მიატო-ვებთ თქვენს ლაბედულებას ებრ 10,35

სიცრუის პირისპირ, რაშიც გახვეულია სა-მყარო და რაც მას სტანჯავს, ჩვენ, ქრისტი-ანებს, მყარად გვჯერა ის, რაც გვწამს: მამამ გვისურვა, თავისი სიყვარულით გვამხნევებს და გველის. ამას გულწრფელად ვამბობთ, მშვიდი, პატიოსანი და ძლიერი ქცევით. დღეს ყმაწვილების დიდი მეგობარი, წმიდა იოანე ბოსკო შეგვეწევა.